# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 165. ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი 1903 წ. გაზეთის № 2315.

## „კ ე დ ე ლ ი“

ლ. ანდრეევისა

I

მე და მეორე კეთროვანი ფრთხილად მივცოცდით კედელთან და ზევით შევიხედეთ. ძირიდან კედლის თავი სულ არ მოსჩანდა; ის ისე ამაყად და მედიდურად აღმართულიყო, რომ კაცს ეგონებოდა, წვერი ზეცისთვის მიუბჯენია და ცის კამარა ორად გაუყვიაო. ჩვენი წილი ზეცა ბნელად და პირქუშად გამოიყურებოდა. იმ ადგილს კი, სადაც ცასა და დედამიწას პირი ეკროდათ, ცას ისეთი მუქი ელფერი დაჰკრავდა, რომ ძნელად გაიგებდა ადამიანი, სად თავდებოდა მიწა და ზეცა სად იწყებოდა. ზეცისა და მიწის მუხრუჭში მოყოლილი ბნელი ყრუდ და მძიმედ ჰკვნესოდა და ყოველ ოხვრასთან ერთად ცხელ ქვიშას ანთხევდა ირგვლივ. და ჩვენ კი ცხელი სუნთქვა და ქვიშა წყლულების ტკივილს და ტანჯვას გვიორკეცებდა.

— იქნება როგორმე გადავხოხდეთ,—გამომეხმაურა ჩემსავით მყრალისა და საზიზღარის ხმით კეთროვანი და კედელზედ ასვლა რომ გაეადვილებინა, მიზურგულა, მაგრამ კედელი მაინც წინანდელივით მაღალი და მიუწდომელი იყო ჩემთვის. იგი ზეცასაც დედამიწასავით ორად აპობდა; მძიმე, გამაძღარ გველსავით გაშოთილი, კლდესა თუ ღრეში, მდელოზედ თუ მთებზედ ერთნაირად ამაყად ამართულიყო და თავი და ბოლო ცის კიდის იქით ჰქონდა დამალული.

— მაშ გავანგრიოთ!—ახალი წინადადება მომცა კეთროვანმა.

— გავანგრიოთ!—დავეთანხმე მეც.

ჩვენ მედგრად დავეჯახენით მკერდით, მაგრამ ჩვენის წყლულების სისხლით შევღებეთ მხოლოდ, თორემ სხვაფრივ ისევ ისე ყრუდ და უნძრევლად იდგა, როგორც უწინ. სულით დავეცით.

— დაგვხოცეთ, დაგვხოცეთ!—ვგმინავდით და ვხოხავდით მიწაზედ, მაგრამ ყველანი ზიზღით გვარიდებდნენ პირსა და შემობრუნებულ ზურგებსღა ვხედავდით. ასე ხოხვით ერთ მშიერს წავაწყდით, რომელიც ქვას მიჰყრდნობოდა და მისუსტებული ძლივსღა სუნთქავდა. კაცს ეგონებოდა, კლდეც კი ვერ იტანს მშივრის ბეჭის ფთებს და ტკივილსა ჰგრძნობსო. მას სრულიად აღარა ჰქონდა ხორცი და შეინძრეოდა თუ არა, ძვლებს რაკა-რუკი და გამომხმარ კანს შრიალი გაჰქონდა.



მ ო მ ზ ე ნ ი

გამოჩენილი ისტორიკოსი, გარდაიცვალა ოქტომბერში.

ნიკაპი ბეჩავად ჩამოჰშვებოდა და შავად ჩაბნელებულ პირიდან ხმელი, დახრინწიანებული ხმა გამოჰქუხდა:

— მე მშიერი ვარ!..

ჩვენ გულიანად გადვიხარხარეთ და ფეხს უფრო აუჩქარეთ, სანამ ოთხ მცეკვავ ადამიანს არ წავაწყდით. ისინი ხან შეიყრებოდნენ, ხან განშორდებოდნენ, ხან ერთი მეორეს ჩაეხვეოდნენ და ჰპროწიალებდნენ უზომოდ. სახეზედ კი მკვდრის ფერი ედოთ, ღიმი არ უკრთოდათ და ტანჯვა-ვაების ბეჭედი არ შორდებოდათ. ერთი იმათგანი იქამდის დაიღალა დაუსრულებელ და დაუბოლოვებელ ცეკვით, რომ ტირილიც კი მორთო და სხვებს შეევედრა—გვეყოფა, თავი დავანებოთ ცეკვასაო, მაგრამ მეორემ ხმა ამოუღებლივ ისევ მოჰხვია ხელი და შემოაპროწიალა. დასუსტებული და დაღლილი კეთროვანი ნება უნებურად ცეკვავდა, რეტიანსავით ტრიალებდა და თან ყოველ ნაბიჯზედ მღვრიე ცრემლებს აფრქვევდა მწარედ.

— მეც მინდა ცეკვა,—წაიბუზღუნა ჩემმა ამხანაგმა, მაგრამ მე ხელი ჩავავლე და გვერდზედ გავათრიე. ჩვენ წინ ისევ კედელი იყო ამართული, ძირში ორი ადამიანი მიცუცქულიყო. ერთი იმათგანი დრო გამოშვებით შუბლით დაეტაკებოდა ხოლმე კედელს და გულწასული, გონება დაკარგული ძირს ეცემოდა, მეორე კი დასცქეროდა უხუმრად, ჯერ თავს გაუსინჯავდა, მერმე კედელს შეეხებოდა და გონს როცა მოვიდოდა ამხანაგი, ეუბნებოდა:

— კიდეა საჭირო, ცოტა ღა დარჩა.

ჩემმა ამხანაგმა გადიხარხარა.

— რა სულელები არიან,—მხიარულად წამოიძახა კეთროვანმა.—სულელებს, ასე ჰგონიათ, კედლის იქით სინათლეაო. ის კი არა იქაცა ბნელა და იქაც ჩვენსავით კეთროვანნი დახოხავენ და ერთმანეთს ევედრებიან, დაგვხოცეთ, დაგვხოცეთო.

— მოხუცი?—დავეკითხე მე.

— რა მოხუცი?—მიპასუხა კეთროვანმა.—მოხუცი სულელია, ბრმა და არც არა ესმისრა. ნახა ვინმემ ის ნაჭვრეტი, რომელიც იმან კედელში გაიკეთა? შენა ნახე? მე ვნახე?

მე გავშმაგდი, რაც ძალი და ღონე მქონდა დაიარავებულ თავში ჩავარტყი და შევღრიალე:

— მაშ შენ რაღას მიძვრებოდი წეღან ზეითა?

ამხანაგმა პასუხის ნაცვლად ქვითინი მორთო, მეც წამსკდა ტირილი, გავხოხდით ისევ და ვევედრებოდით ყველას:

— დაგვხოცეთ, დაგვხოცეთ!

მაგრამ ზიზღით და სიძულვილით გვარიდებდნენ ყველანი



ამბავი, მომხდარი შრომის ბირჟაზე პარიზში.

პირსა და არავის არ უნდოდა ჩვენი მოკვლა. ლონივრებს და ლამაზებს ჰხოცავდნენ და ჩვენთვის კი შიშით ხელიც ვერ ეხლოთ. აი, რა საზიზღრები არიან!

II

ჩვენ დრო არა გვქონდა, არა გვქონდა არც გუშინ, არც დღეს და არც ხვალ გვექნება—ღამე არა გვშორდებოდა, რომ შეესვენა მთის იქით და მერმე მშვიდი და ძლიერი მოგვლინებოდა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ყოველთვის ასე დაღლილი, დაღვრემილი და მძიმე იყო მუდამ. გესლიანი რამ იყო. ხშირად, როცა ველარ აიტანდა ჩვენ კვნესა-ვაებას და ჩვენ იარებს, ნაღველს და ვარამს ველარ უყურებდა, გესლით წამოუდუღდებოდა ხოლმე შავი და ყრუდ მომუშავე გული, შეკრულშეხუთულ და ბრაზისაგან გონება დახშულ მხეცსავით გვიბრიალებდა ცეცხლის მფრქვევ, საშინელ თვალებს და მით დიდს, უძირო უფსკრულს, მოღუშულს, მაგრამ ამაყად და მშვიდად გამომყურალ კედელს და საცოდავად მოცახცახე ხალხის პატარა გუნდს გვინათებდა. ადამიანნი მეგობრებსავით ჩაჰკროდნენ კედელს და შველასა სთხოვდნენ და ის კი ჩვენი მტერი იყო მუდამ. ღამის წყვდიადიც კი ვერ იტანდა ჩვენ სიმხდალეს, სულ მოკლეობას და მკაცრად იწყებდა ხოლმე ხარხარს; მოხუცი მოხრიაკებული მთებიც მის სატანისებურ სიცილკისკისს სიამოვნებით იმეორებდნენ. გამხიარულებული, მაგრამ მაინც შავად და მკაცრად გამომყურალი კედელიც ღამის წყვდიადის და მთების შემაძრწუნებელ ხარხარს ბანს ეუბნებოდა და, ვითომ ხუმრობით, ზეიდან ქვას, ქვიშას და კლდეს ისროდა, რითაც თავებს გვიჩეხდა და სხეულებს გვიჭეჭყავდა ყველას. ასე მხიარულობდნენ მდევ-გმირნი, გადასძახოდნენ ერთი მეორეს და ქარი რაღაც მხეცურ და არაჩვეულებრივ მელოდიას უსტვენდა. ჩვენკი ვეყარენით პირქვე და ზარ-დაცემულნი დედამიწის გულში, სადაც რაღაც იდუმალი ძალა თავისუფლებას ითხოვდა, რიღაცის მოძრაობას, ყრუდ გუგუნს და ჩივილს ყურს ვუგდებდით. მაშინ ჩვენც შევთხოვდით ხოლმე:

— დაგვხოცეთ, დაგვხოცეთ!

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთს ვიხოცებოდით, მაინც ღმერთებსავით უკვდავნი ვიყავით.

გაივლიდა ეს უგნური, მხეცური რისხვა, სიმხიარულე და ღამე მონანების ცრემლებით იწყებდა ტირილს, ღრმად, მძიმედ ოხრავდა და სველ ქვიშას გვანთხევდა ავადმყოფსავით. ჩვენ სიამოვნებით შეუნდობდით ხოლმე ყველაფერს, დავცინოდით დასუსტებულს და ბავშვებსავით ვმხიარულობდით. ტკბილ სიმღერათ გვესმოდა მშიერის კვნესა და მხიარულის შურით შევყურებდით იმ ოთხს, რომელნიც დრო გამოშვებით ხან შორდებოდნენ ერთი მეორეს, ხან ისევ შეიყრებოდნენ და განუწყვეტლივ ტრიალებდნენ ერთ ადგილას.

ერთი წყვილი მეორეს მისდევდა და საერთო ფერხულში ყველა ერეოდა, ყველა იღებდა მონაწილეობას. ჩვენც, მეც, და ჩემი ამხანაგიც, ვპოულობდით დროებით მეგობრებს. ყველა ეს მეტად გვამხიარულებდა და სიამოვნებას გვგვრიდა. მე ვეხვეოდი ჩემ მეგობარ ქალს და ის კი იცინოდა. კბილები ბროლისავით თეთრი ჰქონდა და ლოყები გაწითლებული—რაც მე, კეთროვანს, მეტად მესიამოვნებოდა.

არ ვიცი, ეს როგორა ხდებოდა, მაგრამ სიხარულითა და სიცილით გამოჩენილი კბილები უცბად კრაჭუნს უწყობდნენ, კოცნა კბენაზედ შეგვეცვლებოდა ხოლმე და იმ კივილით, რომელშიაც ჯერ კიდევ სიხარული არ გამქრალიყო, ერთმანეთს ვღრღნიდით და ვხოცდით. თეთრ ბროლება კბილებიანი მეგობარიც კი მიტყაპუნებდა მე საწყალს ავადმყოფ თავში და ბასრი ფჩხილებით გულში მაფრინდებოდა, თითქოს

124

გულ-ღვიძლის ამოგლეჯას უპირებსო. ეს უფრო შემზარი და საშიში იყო, ვიდრე ღამის რისხვა და კედლის უსულო ხარხარი. და კეთროვანი ვტიროდი ცხარი ცრემლით, ვცახცახებდი შიშით და ჩუმად, ჩუმად, რომ არავის დავენახე, კედელს მყრალ და საძაგელ ფეხებს უკოცნიდი და ვემუდარებოდი—მხოლოდ მე, მარტო მე გადამიშვი იქით ქვეყანაში, სადაც ერთმანეთის მხოცველი სულელები აღარ არიან—მეთქი.

მაგრამ უსინიდისო და საძაგელი კედელი არ მიშვებდა და მაშინ კი ვაფურთხებდი, ვცემდი მუშტებსა და გავკიოდი:

— შეხედეთ ამ კაცის მკვლელს, როგორ დამცინის!

მაგრამ ხმა ხრინწიანი მქონდა, სუნთქვა მყრალი და არავის უნდოდა ჩემი ჩივილის მოსმენა.

### III

კვლავ გავცოცდით მე და მეორე კეთროვანი, კვლავ ახმაურდა ჩვენ ირგვლივ ყველაფერი და ის ოთხნი კვლავ დაბროწიალდნენ თან მტვერს იბერტყდნენ ტანთსაცმელისას და თან ჩირქიან წყლულებს ილოკავდნენ. მაგრამ ჩვენ დავიღალენით, ტკივილები გვაწუხებდნენ და სიცოცხლე სულს გვიხუთავდა. ჩემი თანამგზავრი ჩაჯდა მიწაზედ, დასიებულ ხელს მიწაზედ ახლიდა და ხრინწიანის ხმით აჩქარებული გაიძახოდა:

— მოგვკალით, მოგვკალით!

უცბად წამოვხტით მე და ჩემი ამხანაგი, ხალხის გუნდს ვეცით, მაგრამ გუნდი გაიპო და ჩვენ გაქცეულ ხალხის ზურგებს-ღა მოვკარით თვალი, მაგრამ მაინც დაჩოქილნი შევევედრენით:

— მოგვკალით, მოგვკალით!

მაგრამ ზურგნიც კედელსავით ყრუნი და უგულონი იყვნენ. იმაზედ საზარელი რაღა იქნება, როცა კედელსავით გაყინულ-გაჩერებულ და ყრუ-უგულო ზურგებს-ღა ჰხედავ მარტო?

აგერ ჩემმა თანამგზავრმაც თავი დამანება, რადგან ვიღაცის, თავის სახესავით, დაწყლულებული და საშინელი სახე დაინახა იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ის სახე ქალისა იყო. ჩემი თანამგზავრი ღიმილით გარს უვლიდა კისერ მოღერებული და ირგვლივ საძაგელ სიმყრალეს ავრცელებდა. ქალიც დაფქვილ და გამოჭმულ პირით იღიმებოდა და უწამწამო თვალებს პირდაპირ ვერ უშტერებდა.

მიუხედავად ამისა ორივენი შეუღლდნენ, მაგრამ იმდენად სასაცილონი იყვნენ ალერსის დროს, რომ ერთი წუთით ყველამ მოიხედა და ძლიერმა ხარხარმა სალი სხეულები ააცახცახა. მეც, კეთროვანი, ვიცინოდი. მართლადაც და იმაზედ სულელური რაღა უნდა იყვეს, როცა ეგეთი საძაგელი, ავადმყოფი ხარ და მაინც შეუღლებაზედ ჰფიქრობ?

— სულელი! — წამოვიძახე დაცინვით.— ახლა რა გინდა უყო შენ ცოლსა?

კეთროვანმა მედიდურად გაიღიმა და მომიგო:

— ჩვენ იმ ქვებით ვივაჭრებთ, კედლიდან რომ ცვივა.

— შვილები?

— შვილებს დავხოცავთ!

რა სისულელეა—შვილი შვა იმიტომ, რომ მოჰკლა! ქალს ეშმაკურ თვალებზედ ეტყობოდა, რომ ქმარს მალე უღალატებდა.

### IV

იმან, რომელიც კედელზედ შუბლს ანარცხებდა, და იმისმა ამხანაგმა მუშაობა გაათავეს და როცა მე მივხოხდი, ერთი ჯერ ისევ თბილი კედელზედ მიმაგრებულ ჩანგალზედ ეკიდა და მეორე კი მხიარულად ღიღინებდა.

— წადი, მშიერს დაუძახე,—ვუბრძანე მიუახლოვდი თუ არა მეორეს და შევნიშნე, რომ იმ წამსვე ღიღინით წავიდა ჩემის ბრძანების შესასრულებლად. მე თითონ დავინახე მშიერი როცა უცბად ჩამოშორდა კლდეს და დამხრჩვალისაკენ ფართატით, ხოხვით წამოვიდა და ბავშვსავით გახარებული კბილების კრაჭუნით ტუჩებს აწკლაპუნებდა. ფეხის ერთიბეწო ნაგლეჯი, ერთიბეწო!—გაიძახოდა ცახცახით, მაგრამ სხვებმა, უფრო ღონივრებმა გაასწრეს. ერთმანეთის კაწვრით და კბენით შემოეხვივნენ დამღრჩვლის ლეშს, დაუწყეს ყველა მხრიდამ ღრღნა და სიამოვნების ნიშნად, გატაცებულნი, ტუჩებს აცმაცუნებდნენ. ჰაერში ძვლების ლაწა-ლუწი ისმოდა. მშიერი კი აღარ მიუ-



ოსმალნი იცავენ რკინის გზას მაკედონიაში.

შვეს. ის იქვე ახლოს ჩაცუცქდა და სხვების ლხინს უყურებდა, ილოკავდა გამხმარ ენას და საშინლათ ჰღმუოდა:

— მე მში... ე... რი ვარ!

სასაცილოა: ის მშივრისთვის მოკვდა და მშიერს კი ფეხის ნაგლეჯიც არ ერგო. მეც ვიცინოდი, იცინოდა მეორე კეთროვანიც. იმისი ცოლი სასაცილოდ ჰხუჭავდა თვალებს, რადგან უწამწამობისა გამო მათი მობჟუტვა აღარ შეეძლო.

მშიერი კი უფრო საშინლად და საზარლად გაჰკიოდა:

მე მში.. ე... რი ვარ!

იმას ხრინწი ისე აღარ აწუხებდა როგორც უწინ და აშკარა და მკაფიო ხმა თავისუფლად მიდიოდა მაღლა, ეხლებოდა კედელს და უკან გამობრუნებული ბნელ უფსკრულსა და ჭაღარა მთებს იქით მიჰფრინავდა.

მალე კედელთან კალიასავით მოგროვილმა ხალხმაც მისცა .ბანი და კალიასავით გაუმაძღრების და მშივრების საშინელი ღრიანცელი გაისმა. კაცს ეგონებოდა, აუტანელ ტანჯვით დამწვარ დედას დაუღია განიერი ქვისა და კლდის ხახა და ის გაჰკივის ასე მწარედაო. ძლიერის ქარიშხალით ერთ მხარეს გადახრილ-გამხმარი, ტყის ხეებსავით დაჭიმული, გამხდარი, საცოდავი და მომუდარე მკლავები კედლისკენ აწეული ყვნენ და იმოდენა ტანჯვასა და უიმედობას გამოჰხატავდნენ თავისით, რომ ქვანიც კი შეძრწუნებულიყვნენ და ჭაღარა, ლურჯი ღრუბელნი თავზარ დაცემულნი გარბოდნენ მეორე მხარეს. მაგრამ მაღალი კედელი კი უძრევლად იდგა და გულცივად ისმენდა ამ ღრიალს, რომელიც მყრალ და სქელ ჰაერს შეუპოვრად აპობდა და მყუდროობას არღვევდა.

ყველას კედლისთვის მიეპყრო თვალი და გაშმაგებული ცეცხლს აფრქვევდა. ჩვენ გვწამდა და ველოდით, რომ კედელი მალე დაინგრეოდა და ახალ ცხოვრებას დავინახავდით ამედებით დაბრმავებულნი კედლიდან დაძრულ ქვასა და კლდესაც კი ვხედავდით და შერყეულ, ადამიანთა სისხლით და ტვინით გაჟღენთილ, ქვის ვეშაპის სიკვდილს სიამოვნებით თვალს ვადევნებდით. იქნება ცრემლი გვითამაშებდა თვალებში და ჩვენ კი გვეგონა, კედელი შეირყა და საცაა დაინგრევაო. აქ უფრო საზარელი ღრიალი მორთო ხალხმა, მაგრამ ეხლა კი ბრაზი და გამარჯვების ხმები უფრო ისმოდა გააფთრებულთა ღრიალში.

ი. პ—ი.

(დასასრული იქნება)



ჩინური საშუალება მაბეზრებელ ბუზების მოსაშორებლად.

არტისტების ცხოვრებიდან.



პირველი. შენ ისე ევაჭრებოდი პალტოს გამყიდავს, თითქო ფული უნდა მიგეცა: ხომ ნისიად წამოიღე?

მეორე. სწორეთ იმიტომ ვცდილობდი დაეკლო ფასი, რომ ნაკლები ეზარალნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 5 ноября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.